თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ეს იყო საბჭოთა ეპოქის ყველაზე უჩვეულო, ეროტიკული და ტრაგიკული ისტორია...

მე-4 გვერდზე

რა გაკეთდა და რა იგეგმება სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების განვითარებისთვის საჩხერეში

№12 (774) 2 - 8 ოქტომბერი, 2017 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

გენდერული ქვოტის მოლოდინში

ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულ უმრავლესობას ქალები შეადგენენ.
ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამომრჩეველთა 53, 76 პროცენტი ქალია. ეს მაჩვენებელი არჩევნებიდან არჩევნებამდე იზრდება, თუმცა, აღნიშნული ვითარება საარჩევნო სიებსა და მაჟორიტარ კანდიდატებს შორის სქესთა ბალანსზე არ აისახა.



ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საჭიროებას დეკლარირებულად თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია აღიარებს. როგორც ჩანს, – მხოლოდ სიტყვიერად, რადგან ყველა არჩევნებზე ცხადია, რომ გენდერული თანასწორობა მათი პრიორიტეტი არ არის.

ამჟამად, ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა წარმომადგენლობა უკიდურესად დაბალია (არ აღემატება 12:-ს), არცერთი მოქმედი მერი არ არის ქალი და პირდაპირი წესით არჩეული 59 გამგებლიდან მხოლოდ ერთი გამგებელია ქალი.

მას შემდეგ, რაც მმართველმა პარტიამ მერობის 61 კანდიდატიდან მხოლოდ 2 ქალი დაასახელა. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა განცხადება გაავრცელა: „პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის ზრდაზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია ხელისუფლებას და მმართველ პარტიას. პოლიტიკური პარტიების მხრიდან მერობის კანდიდატებად ქალების უკიდურესად მცირე რაოდენობით დასახელების ტენდენცია შემაშფოთებელია და ადასტურებს, რომ უგულვებელყოფილია საზოგადოების მოთხოვნა, უზრუნველყოფილი იყოს ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში. ამით, ასევე არ ხდება სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.“

კანდიდატების ოფიციალურად დარეგისტრირების შემდეგ, რეალური სურათი არ შეცვლილა, მთავარი პოლიტიკური პარტიების მაჟორიტარულ და პროპორციულ სიებში კანტიკუნდად, ქალები მაინც გამოჩნდნენ. მათი ჩართულობა სიაში იმდენად ფრაგმენტულია, რომ არჩევნების შემდეგ, თვითმმართველობებში ქალების მონაწილეობის ხარისხი საკმაოდ დაბალი იქნება.

ერთ–ერთი კვლევის მიხედვით, პარტიები აღიარებენ, რომ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში გენდერული თანასწორობა დარღვეულია.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ბუნებისთვის დრო უპირველესი პარამეტრია!

ბორჯომის ტყის ხანძრიდან ერთი თვის შემდგომ, გარემოსდაცვითი ორგანიზაცია CENN-ის დაკვეთით, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველადი შეფასება დაიდო. 2017 წლის 19-26 აგვისტოს ხანძარმა 2008 წლის ნახანძრალი ტერიტორიაც მოიცვა, სადაც სრულად განადგურდა როგორც აღდგენის პროცესში არსებული ტერიტორია, ასევე ის ფერდობები, სადაც ნახევრად დამწვარი ხეები ზეზეულად იდგნენ. ორივე შემთხვევაში განსაკუთრებით დაზიანდა სოფელ დაბისა და წაღვერის მიმდებარე ტერიტორია - ერთ-ერთი საუკეთესო საკურორტო ადგილები. აღნიშნული ხეობა ტყის კლიმატური კურორტების ტიპს მიეკუთვნება, განუმეორებელი ჰავით და მინერალური წყლების საბადოებით.

სპეციალისტების თქმით, ამ ეტაპზე ხეობაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესი - აღდგენითი და ეროზიული, მიმდინარეობს. თუმცა ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ ეროზიული პროცესის განვითარება უფრო სწრაფად არის შესაძლებელი, ვიდრე აღდგენითი. „2017 წლის 18 სექტემბერს ხეობაში ჩატარებული ვიზუალური შეფასების შემდეგ, გამოვლინდა სხვადასხვა სახის მორფოდინამიკური პროცესები. ტყის საფარის განადგურების შედეგად ჩამოყალიბდა მძლავრი ეროზიული კერები, წარმოიქმნა დიდი ზომის ჩახრამვები, გაჩნდა ახალი მეწყრული სხეულები, დაჩქარდა გამოფიტვის პროცესები, რამაც საეთო ჯამში მთლიანად შეცვალა ფერდობების მდგრადობის დინამიკა.“- წერია მომზადებულ ანგარიშში.

ყურადღებას იქცევს ის გარემობა, რომ დამწვარ ფერდობზე მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი ზეზემდგომი, როგორც გამხმარი, ისე სანახევროდ დამწვარი და ხანძარს გადარჩენილი ხემცენარეულობა. სპეციალისტების დასკვნებით, მათი მოჭრა და გამოტანა კიდევ უფროგააქტიურებს ეროზიულ პროცესებს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ 2008 წლის გადაწვის შემდეგ, მრავალწლოვანი ხე-მცენარეებისაგან დიდი ფართობების გამოთავისუფლებამ ერთწლოვან ბალახს მისცა გასაქანი. იქ, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დაწვასა და გადარეცხვას გადაურჩა, ტყის აღდგენის პროცესს ხელი შეუშალა მაყვალმა, რომელმაც დომინანტური ადგილი დაიკავა. ხეების მოსპობისა და მზის აქტიური ზემოქმედების შედეგად, ახალი პრობლემა გაჩნდა – პარაზიტები. ტყის თვითრეგენერაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ფერდობების ძლიერი დახრილობაა, რის გამოც, ნიადაგის ზედა ფენა, ე. წ. ჰუმუსი, მუდმივ გადარეცხვას განიცდის.

არსებული გამოკვლევა თვითაღდგენის პროცესთან დაკავშირებით აუცილებლად გასათვალისწინებელია. სპეციალისტები სამუშაოებს ეტაპებად ყოფენ და სამუშაოების დროულ დაწყებაზე საუბრობენ. **„პირველ ეტაპზე აუცილებელია მომზადდეს ტყის აღდგენის პროექტი ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ. უნდა მოხდეს ნიადაგის, გრუნტის და ეროზიული პროცესების შესწავლა.** ვფიქრობ, რომ აღდგენა უნდა დაიწყოს სწრაფად, რადგან ხელისშემშლელი ფაქტორებს ვერ ვხედავ. თუმცა, თუ ნიადაგი არის დაზიანებული, არსებობს ხელოვნურად ჩარევის საშუალებებიც. ასეთ შემთხვევაში მიმდინარე წელს უნდა მოხდეს მიკროორგანიზმების საშუალებით ნიადაგის დამუშავება. კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება დარგის სხვადასხვა სპეციალისტებით, იმედია, სამუშაოების პირველი ეტაპის დაწყებას მიმდინარე წლის ბოლომდე განახორციელებს. ვფიქრობ, გადადება 2018 წლისთვის არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან დღეს თუ სამუშაოები 10 000 ლარი დაჯდება, მომავალ წელს, შესაძლოა, იგივე შედეგის მისაღებად მილიონი ლარის დახარჯვა დაგვჭირდეს. ამდენად, მნიშვნელოვანია სატყეო სააგენტოსთან ერთად აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვა/განხორციელებაში გეოლოგებიც და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები/ექსპერტებიც ჩაერთონ. განსაკუთრებით რთულადაა ვითარება 2008 წლის ომის ნახანძრალზე, სადაც მაღალი რისკია სხვადასხვა პროცესების განვითარების. ბორჯომში ტყის აღდგენითი სამუშაობის დროულ დაწყებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ქვეყნის კურორტების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ 2018 წლის ბიუჯეტში გადამწვარი ტყის აღდგენითი სამუშაოებისთვი თანხის ასახვა აუცილებლად უნდა მოხდეს, ფინანსების არ არსებობა სამუშაოების დაწყების ერთ-ერთ შემაფერხებელ გარემოებად რომ არ იქცეს.“ - აცხადებს **რეზო გეთიაშვილი,** გარემოსდაცვითი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ერთ-ერთი პროცესი, რომელიც შესაძლოა დროის მოკლე მონაკვეთში პროგნოზირებადი გახდეს წყლისმიერი ეროზიაა. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების სამუშაოების ჩასატარებლად პირველად რეკომენდაციაში ეროზიული პროცესების გააქტიურების ერთ-ერთ მიზეზად უკვე არსებული ე.წ. ღარებია დასახელებული. წლების მანძილზე ტყეში მოჭრილი ხე-მცენარეულობის ტყიდან გამოტანა ფერდობზე დაცურების წესის გამოყენებით ხდებოდა. ამიტომ დაცურების შედეგად გაჩენილია ჩაღრმავებები, რომლებიც წარმოადგენენ მეტ-ნაკლები სიღრმის ფერდობის ზედაპირული ნაკადების ფორმირების ადგილებს. პირველად რეკომენდაციაში წერია: დროთა განმავლობაში, მით უმეტეს ახლად შექმნილ პირობებში, ძალიან მაღალი ალბათობით მოსალოდნელია ფერდობის დახრამვის გაძლიერება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნული ფერდობი აგებულია ადვილად დაშლადი, ეროზიის მიმართ არამდგრადი, ბორჯომის ფლიშების ქანებით, მომავალში ფერდობის დახრამვა რეალურია. ფერდობის დახრამვის თავიდან აცილების ან ეფექტურად შეზღუდვისათვის, საჭირო იქნება ზედაპირული ნაკადის დრენირების ხაზზე, წყლის მოძრაობის პერპენდიკულარულად, ხის მასალისაგან რამდენიმე მეტრის დაშორებით წინაღობების მოწყობა, წყლის ნაკადის გადამრეცხი სიჩქარის შემცირების მიზნით. აღნიშნული, საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ დრენირების ხაზი, ფერდობის ვერტიკალური ჩაჭრა და რამდენადმე შევაჩეროთ ან შევამციროთ ფერდობის დახრამვა;

გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეროლოგიური დეპარტამენტის აგრომეტეროლოგიის განყოფილების უფროსი გიზო გოგიჩაიშვილი ამბობს: „ხეობაში აუცილებლად შეიცვლება მიკროკლიმატი, აოროთქლების პროცესები და ნიადაგის გამოშრობა გარდაუვალი პროცესია. ქარისმიერი ეროზიის განვითარების ზონა იქ არ არის, თუმცა ურთულესი ვითარებაა წყლის მიერ განვითარებული ეროზიული პროეცესების. ეს პროცესი იქ ამ ხანძრებამდეც მიმდინარეობდა. 2008 წლის ომისაგან გამოწვეული ხანძრის შემდეგ 2009-ში იქ იყო ნახევრად დამწვარი და სრულად დამწვარი ხეები, რომელიც არ გამოუტანიათ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

PS news.ge
ISSN 1987-7056
9 771987 705004

გენდერული ქვოტის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

პარტიებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში გენდერული საკითხი არ არის ისე დაყენებული, როგორც ეს დასავლურ სტანდარტებს შეეფერება, მაგრამ მომავალში სიტუაციის გამოსწორებას იმედოვნებენ. არსებულ სიტუაციას პარტიები გარე ფაქტორებით ხსნიან, რომელთა შეცვლაც მათ ძალას აღემატება. კერძოდ, მიაჩნიათ, რომ ქალები თავად არიან ნაკლებად აქტიურნი, რასაც სოციალური სიდუხჭირე და ტრადიციული ფასეულობები განაპირობებს. ქალები განსაკუთრებით მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ 1990-იან წლებში ქვეყანაში გაუარესებული ეკონომიკური და სოციალური პირობების მიმართ.

მამაკაცების მიერ სამუშაო ადგილების დაკარგვამ, მათი უმრავლესობა აიძულა, საკუთარ თავზე აეღო ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა. ამიტომაა, რომ მათ პოლიტიკური აქტიურობისთვის არც დრო და არც ენერგია არ რჩებათ. მეორე ძირითადი მიზეზი, რომელიც, პარტიების აზრით, ხელს უშლის ქალთა ჩართულობას პოლიტიკურ საქმიანობაში, საზოგადოებაში არსებული ტრადიციული წარმოდგენებია ქალის როლისა და ფუნქციის შესახებ: ქალი წარმატებულად ითვლება, თუ იგი კარგად ართმევს თავს საოჯახო საქმიანობას.

არის თუ არა ციფრებისა და სტატისტიკის უკან საზოგადოებაში უკეთესი ამინდი? მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები მხოლოდ დაპირებებით შემოიფარგლებიან, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ეს თემა უცხო აღარ არის.

ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მთავარ საშუალებად საქართველოში, ქალთა მოძრაობის აქტივისტები გენდერული კვოტირების შემოღებას მიიჩნევდნენ. საქართველოში კვოტირების სისტემა არ არსებობს, თუმცა 2011 წელს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონით დაინერგა პარტიების ფინანსური წახალისების სისტემა. პარტია, რომელიც პროპორციულ საარჩევნო სიაში ყოველ ათეულში ქალის 2 კანდიდატურას წარმოადგენდა, მიიღებდა საბაზო დაფინანსების 10:-იან დანამატს.

2014 წელს, აღნიშნული საბიუჯეტო წახალისება გაიზარდა და ყოველ ათეულში 3 ქალი კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში საბაზო დაფინანსების ოდენობამ 30: შეადგინა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალთა პოლიტიკურ წარმომადგენლობაზე ეს წამახალისებელი ზომა მაინც არ აისახა დადებითად და ბოლო 25 წელია, ქალთა პოლიტიკური ჩართულობა საქართველოში 11:-ს არ აღემატება.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მისაღწევად, დღის წესრიგში დგება არა წამახალისებელი ზომები, არამედ სავალდებულო კვოტების საკითხი, რომლის მიღებასაც საქართველოს პარლამენტი რატომღაც არ ჩქარობს.

მაკა ჩინიჯიშვილი
მედიასახლი P.S.(„პოსტსკრიპტუმი“)

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამენტი“ ფარგლებში. ავტორის/ავტორების მიერ საინ-

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „იმერკრედიტის“ დამფუძნებლებს

კონსაუდი
საერთაშორისო ქსელის IECnet წევრი აუდიტორული ფირმა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის _ „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ _ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს** ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს** ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების გაზნარახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგაზნარახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს** შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს** ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი“-ს** უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორი კ. დათიაშვილი
28.09.2017წ.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2016	31.12.2015	31.12.2014
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	1	30 804	22 202	32 081
გაცემული სესხები:	2			
– ძირი		1 554 088	1 702 638	1 010 785
– დარიცხული პროცენტი		181 969	201 103	186 480
ძირითადი საშუალებები	3	189 406	204 618	228 063
არამატერიალური აქტივები	4	1 266	1 636	2 046
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		176	158	-
საგადასახადო მოთხოვნები	5	51 332	826	11 102
გადავადებული საგადასახადო აქტივი	6	19 724	33 077	100 350
სხვა მოთხოვნები	7;17	47 710	53 539	28 122
სულ აქტივები		**2 076 476**	**2 219 799**	**1 599 028**
ვალდებულებები				
მიღებული სესხები:				
– ძირი	8	1 724 620	776 308	869 336
– დარიცხული პროცენტი	17	12 841	7 658	4 115
საგადასახადო ვალდებულებები	9	662	63 411	375
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	10	-	73 844	112 123
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	11	25 311	27 133	34 127
სხვა ვალდებულებები	12	1 047	761 169	223
სულ ვალდებულებები		**1 764 481**	**1 709 523**	**1 020 300**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		302 000	302 000	302 000
აკუმულირებული მოგება/ზარალი		208 275	-	400 525
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(198 280)	208 275	(123 798)
სულ კაპიტალი		**311 995**	**510 275**	**578 728**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2 076 476**	**2 219 799**	**1 599 028**
დირექტორი:		**კ. კოტიშაძე**		
		28.09.2017წ.		
მთ.ბუღალტერი:		**გ. ესებუა**		

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	12.31.2016	12.31.2015	12.31.2014
	ლარი	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტები	418 840	535 383	473 202
გადახდილი პროცენტები	(137 277)	(109 550)	(129 272)
სხვა ოპერაციებიდან მიღებული თანხა	11 519	4 024	11 950
მიღებული საკომისიოები	8 508	19 578	17 795
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(171 256)	(173 998)	(160 582)
	130 334	**275 437**	**213 092**
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:			
კლიენტებისათვის მიცემული სესხები	134 865	83 068	(8 381)
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(54 750)	(69 856)	(42 729)
გადახდილი გადასახადები (მოგების გარდა)	(2 070)	(748)	(1 315)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე	**208 379**	**287 901**	**160 668**
გადახდილი მოგების გადასახადი	(80 995)	(33 150)	(65 200)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**127 384**	**254 751**	**95 468**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 941)	(4 285)	(1 235)
ლიზინგის მომსახურების დანახარჯი	(73 845)	(42 840)	(32 424)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**(75 786)**	**(47 125)**	**(33 659)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება	1 266 818	264 715	661 094
სესხების დაფარვა	(510 675)	(481 395)	(700 562)
გადახდილი დივიდენდები	(800 000)		(50 000)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**(43 857)**	**(216 680)**	**(89 469)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ნამატი	**7 742**	**(9 054)**	**(27 659)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	860	(825)	(1 501)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	**22 202**	**32 081**	61 241
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასასრულისათვის	**30 804**	**22 202**	**32 081**
დირექტორი:	**კ. კოტიშაძე**		
	28.09.2017წ.		
მთ. ბუღალტერი:	**გ. ესებუა**		

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი"
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2016 წ.	2015 წ.	2014 წ.
		ლარი	ლარი	ლარი
საპროცენტო სშემოსავალი		441 407	510 031	538 389
საპროცენტო ხარჯი		(142 541)	(110 976)	(118 096)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	13	**298 867**	**399 055**	**420 293**
სესხის გაუფასურების ანარიცხი		(207 187)	448 688	(419 540)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		**91 680**	**847 743**	**754**
საკომისიო შემოსავალი		8 358	19 602	17 814
ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებული წმინდა მოგება-ზარალი რეალური ღირებულებით		**100 038**	**867 345**	**18 568**
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება-ზარალი		(47 425)	241 650	53 461
სხვა შემოსავალი	14	14 168	5 005	14 551
შრომის ანაზღაურების ხარჯი		(180 761)	(178 675)	(164 307)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(17 524)	(28 139)	(28 369)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(47 204)	(49 842)	(37 020)
მოგება დაბეგვრამდე		**(178 708)**	**857 344**	**(143 117)**
მოგების გადასახადის ხარჯი	16	(19 572)	(125 797)	19 319
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		**(198 280)**	**731 547**	**(123 798)**
	დირექტორი:	**კ. კოტიშაძე**		
		28.09.2017წ.		
	მთ.ბუღალტერი:	**გ. ესებუა**		

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი''

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება-ზარალი	სულ
31.12.2014 ნაშთი		**302 000**	**266 437**	**568 437**
გასული პერიოდის ცვლილება		-	10 291	**10 291**
31.12.2014 ნაშთი		**302 000**	**276 728**	**578 728**
დივიდენდი		-	(800 000)	**(800 000)**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	17	-	731 547	**731 547**
31.12.2015 ნაშთი		**302 000**	**208 275**	**510 275**
დივიდენდი		-		**-**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		-	(198 280)	**(198 280)**
31.12.2016 ნაშთი		**302 000**	**9 995**	**311 995**
	დირექტორი:		**კ. კოტიშაძე**	
			28.09.2017წ.	
	მთ. ბუღალტერი:		**გ. ესებუა**	

აუდიტის დასკვნის სრული ვერსია იხილეთ საიტზე www.psnews.ge

რა გაკეთდა და რა იგეგმება სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების განვითარებისთვის საჩხერეში

მაღალი ხარისხის უზრუნველმყოფი განათლების სისტემის ჩამოსა- ყალიბებლად, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მთავრობა ამ სფეროში სისტემური ცვლილებების განხორციელებას გეგმავს.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. საჩხერეში ფუნქციონირებს 20 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 4 - ქ. საჩხერეში, ხოლო 16 - სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა საჩხერეში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: თუ 2013 წელს განათლების სფეროს ხარჯები 855,8 ათასი ლარით განისაზღვრა, 2017 წელს შესაბამისმა ხარჯებმა 2-ჯერ მეტი - 1 მლნ 800 ათასი ლარი შეადგინა. 2014-2016 წლებში მუნიციპალიტეტში განხორციელდა 7 საბავშვო ბაღის მშენებლობა: გორისის (87,6 ათასი ლარი), ჭალოვანის (90 ათასი ლარი), ორღულის (91,4 ათასი ლარი), ქორეთის (97 ათასი ლარი), კორბოულის (90 ათასი ლარი), მეჯვრისხევისა (272,6 ათასი ლარი) და ცხამის (173,4 ათასი ლარი). მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში კვების თანხა თითოეულ აღსაზრდელზე 0,9-დან 1,7 ლარამდე გაიზარდა. ამით მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი. სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია 12 საბავშვო ბაღის 12 ჯგუფში. საჩხერის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 50 აღმზრდელ-პედაგოგი. მათგან 16 - სასკოლო მზაობის ჯგუფებში.

რაც შეეხება ზოგად განათლებას, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 32 საჯარო სკოლა (ქალაქში - 3, სოფლად - 29), სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 5108-ია, ხოლო მასწავლებლების - 843. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ 2017 წლის მაისის თვის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია 71 სსსმ მოსწავლე. მუნიციპალიტეტის 3 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 6 მანდატური იცავს. 2015-2017 წლებში, პროგრამით „ბავშვთა მიმართ ძალადობა - გადამისამართების პროცედურები ბავშთა დაცვის საჭიროების შემთხვევებში", საქართველოს მასშტაბით ყველა მანდატური გადამზადდა, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არ არიან, გადამზადა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი/დირექტორის მოადგილე).

ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში: „საზაფხულო სკოლების პროგრამის" ფარგლებში საჩხერის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღო 9 მოსწავლემ; „საგანმანათლებლო ექსკურსიებისა და განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში" 2013-2014 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღო 50-მა მოსწავლემ; „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამის" ფარგლებში 2013-2016 წლებში საჩხერის მუნიციპალიტეტიდან გამოვლინდა 85 ოქროსა და 51 ვერცხლის მედალოსანი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სასკოლო კონკურსებში გამარჯვებულია 25 მოსწავლე; „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის" ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 7-მა მოსწავლემ; ,,საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში'' ჩართულია საჩხერის მუნიციპალიტეტის 32 საჯარო სკოლა (111 მიმართულება), პროგრამით სარგებლობს 1536 მოსწავლე; ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლაში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში 2013 წელს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 საჯარო სკოლას (პერევის - დარყის დაწყებითი, მახათაურის - ბახიოთის დაწყებითი, ცხომარეთისა და ჯრიის), რაზეც სულ 177 ათასი ლარი დაიხარჯა; 2014 წელს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საჯარო სკოლას (კორბოულის №2, პერევის, ჭალის, საჩხერის №2, სარეკის, კორბოულის სისვაძეების უბნის, ჩიხისა და სხვიტორის საჯარო სკოლები), რაზეც სულ 237 ათასი ლარი დაიხარჯა; 2015 წელს განხორციელდა 6 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (ორღულის, ჭორვილის, მახათაურის საჯარო სკოლასთან შერწყმული ბახიოთის, მოძვის, კორბოულის №2 და სხვიტორის), 2 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა (ჭალის და გორისას) და საჩხერის საგანამანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია, რაზეც სულ 172,4 ათასი ლარი დაიხარჯა; 2016 წელს განხორციელდა 3 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (მახათაურის, კორბოულის N1 და ჭალის), 2 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა (საჩხერის №1 და კორბოულის №2), რაზეც სულ 18,9 ათასი ლარი დაიხარჯა.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში განხორციელდება სისტემური ცვლილებები ყველასთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უზრუნველმყოფი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ხელი შეეწყობა ხელმისაწვდომობის ზრდას ხარისხიან ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება;
- 2017 წელს განხორციელდება სხვიტორის, საირხისა და საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, სულ ღირებულება - 140 ათასი ლარი.
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, განხორციელდება არგვეთის, ნიგვზნარას, კორბოულის (სისვაძეების უბანში) საბავშვო ბაღების მშენებლობა, ჭალაში საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია, საირხის, სარეკის, სხვიტორისა და საჩხერის აკ. წერეთლის სახელობის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, მერჯევის ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეების, კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის განხორციელდება 5 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (არგვეთის, ჭალის, მოძვის, ჭორვილის და კორბოულის №2), 2 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა (კორბოულის №2 და საჩხერის №1), კორბოულის №1 (შერწყმული კაპანაძეების, დაწყებითი) და სარეკის (შერწყმული ბაჯითის სკოლა) მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლების პროექტირება/მშენებლობა;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის - ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.

ბუნებისთვის დრო უპირველესი პარამეტრია!

პირველი გვერდიდან

ეს უქმნიდა თავისებურ წინააღმდეგობას ეროზიული პროცესებს. დღეს სიტუაცია უფრო რთულია, რადგან ის ადგილები ხელმეორედ გადაიწვა. ასევე არის 35-50 გრადუსზე მეტი დაქანების ფერდობები. ახლა ეროზიული პროცესების განვითარებას წინააღმდეგობას, კონკრეტულად ამ ფერდობზე, არაფერი არ უწევს, დანახშირებული და გაშიშვლებულია მთელი ფერთობი. ბუნებისთვის დრო უპირველესი პარამეტრია. ამიტომ გაზაფხულისთვის უნდა დაიწყოს პრაქტიკული სამუშაოები, ამ პერიოდში კი გვმართებს წინასწარი სამუშაოების და კვლევების დაწყება სპეციალისტების ჩართულობით. ამ ტერიტორიაზე თითქმის ყველა ხეობა არის ღვარცოფული ხასიათის. ვფიქრობ, პრევენციისთვის აუცილებელია გაკეთდეს ღვარცოფ საწინააღმდეგო ჰიდრო ტექნოლოგიური ნაგებობა, რადგან სოფელი დაბა, რომელიც ღვარცოფზეა გაშენებული, საფრთხის წინაზე დადგება და ამის გარისკვა არ ღირს."

ღვარცოფის წარმოქმნის საშიშროებაზე და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარების აუცილებლობაზე საუბრობს გეოეკოლოგი ლევან იოსელიანი. „მდ. ნაღვარევის წყალი (დაბისწყალი), რომლის ხეობაშიც (და არა მხოლოდ ამ ხეობაში) სტიქიის შედეგად განადგურდა ტყისმასივი, ღვარცოფული ხასიათისაა. **ჯერ კიდევ ხანძრის გაჩენამდე, ხეობაში არაერთგზის მოხდა ღვარცოფული ნაკადის ფორმირება, რაც განპირობებულია ფერდობის ამგები ქანების(გეოლოგიური გარემო) გამოფიტვის მაღალი ხარისხის და მასზე მოქმედი ატმოსფერული ნალექების ურთიერთქმედებით.** დღესდღეობით, როდესაც ფერდობები ხანძრის შედეგად დარჩა ბუნებრივი საფარის გარეშე, პროცესების დაჩქარების ალბათობა საკმაოდ მაღალია. უხვი ნალექების შემთხვევაში გამოფიქტვის შედეგად დაგროვებული მასალა ფორმირდება, როგორც ღვარცოფული ნაკადი. უპირველესად, აუცილებელია ხეობაში მიმდინარე პროცესებზე მონიტორინგის წარმოება, რაც საშუალებას მოგვცემს ვაკონტროლოდო დინამიკის ცვლილებები. საშიში გეოლოგიური პროცესების შესაჩერებლად აუცილებელია ტყის საფარის აღდგენა, რაც დროში ხანგრძლივი პროცესია. შესაბამისად საჭიროა დამატებითი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, რაც საშუალებას მოგვცემს, სწორად შევარჩიოთ იმ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ტიპები, რაც დაიცავს ფერდობებს არასასურველი პროცესებისაგან. პრევენციის მიზნით აუცილებელია მდინარის კალაპოტის გაწმენდა, რაც უზრუნველყოფს ღვარცოფული ნაკადის უსაფრთხო გატარებას."- აცხადებს ლევან იოსელიანი.

დარგის სპეციალისტებს ღვარცოფის წარმოქმნის საფრთხე გაზაფხულისთვის ვარაუდობენ. ასეთ შემთხვევაში მასშტაბებზე საუბარი უჭირთ, რადგან ჯერ არ არის დათვლილი თუ რა მოცულობის მასალა შეიძლება წარმოიქმნას უხვი ნალექის შემთხვევაში. თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომპროცესების გააქტიურება საფრთხეს შეუქმნის სოფ. დაბას და ბორჯომ-ბაკურიანის დამაკავშირებელ საავტომობილო გზას.

გარემოს დაცვის სამინისტროში 2017 წლისთვის ბორჯომის ნახანძრალ ტერიტორიებზე კონკრეტული სამუშაოების ჩატარება არ იგეგმება. ამ ეტაპზე ტერიტორიის შესწავლა სპეციალისტების დახმარებით მიმდინარეობს. სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი აცხადებს: „გაზაფხულამდე ტერიტორიის კონსერვაცია მოხდება, გაზაფხულზე განმეორებითი შესწავლა მოგვცემს საშუალებას, დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები თითოეული მონაკვეთის მიხედვით - იქნება ეს ნერგის დარგვა, თესვა, თუ, სხვა სახის აღდგენის ღონისძიებები. შესწავლის შედეგებისა და რეკომენდაციების მიხედვით აღდგენის სამუშაოები შესაბამის სეზონებზე (გაზაფხული, შემოდგომა) განხორციელდება. ვადებთან დაკავშირებით ზუსტი მონაცემები გვექნება ასევე შესწავლის შემდეგ, როდესაც დაზუსტდება სამუშაოთა სახეებიდა მოცულობები."

დამოუკიდებელ ექსპერთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები კი ასე გამოიყურება: კარგად ჩანს, თუ როგორ შეიცვალა ფერდობების მდგრადობა ტყის საფარის განადგურების შემდგომ, ჩამოყალიბდა მეწყრული სხეულები, მოიმატა ნიადაგის ეროზიამ; ზედაპირულმა ნალექებმა და სხვა გამოფიტვის აგენტებმა დააჩქარა ფერდობის ამგები ქანების გამოფიტვის პროცესები, რაც საჭიროებს შესაბამისი დამცავი ზომების მიღებას: ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, ტყის საფარის გაშენება და ნიადაგის აღდგენა – ფერდობებზე განვითარებული ეროზიული პროცესების შესაჩერებლად; ნაღვარევი ხევის კალაპოტის გაწმენდა ღვარცოფული მასალისაგან, რათა ღვარცოფული ნაკადის გავლის შემთხვევაში, საფრთხე არ დაემუქროს სოფ. დაბის მოსახლეობას; ატმოსფერულ ნალექებზე დაკვირვების წარმოება და შესაბამის პერიოდში ფერდობებზე ფართობრივი ჩამორეცხვების მონიტორინგი; მეწყრული სხეულების დეტალური შესწავლა და მათ დინამიკაზე დაკვირვება; ვითარების გართულების შემთხვევაში, სპეციალისტები წინასწარი გამაფრთხილებელი სისტემის მონტაჟის აუცილებლობაზეც საუბრობენ.

მარიკა ვაჭარაძე

ეს იყო საბჭოთა ეპოქის ყველაზე უჩვეულო, ეროტიკული და ტრაგიკული ისტორია...

ძნელი დასაჯერებელია, რომ საბჭოთა დროში ადგილი ჰქონდა ისეთ საკვირველ ამბავს, როგორიც იყო საქართველოში დაბადებული რუსი პოეტის, ვლადიმირ მაიაკოვსკისა და გათხოვილი ქალის, ლილია ბრიკის სიყვარულის ისტორიას. იყო კი ეს სიყვარული? ბევრი თვლის რომ იყო... შეიძლება დროებითი, შესაძლოა თავქარიანიც, მაგრამ მაინც იყო...

ლილია უკვე ოსიპ ბრიკის მეუღლე იყო, როცა მაიაკოვსკის შეხვდა. მათ სახლში იკრიბებოდნენ ხოლმე მხატვრები, პოეტები, პოლიტიკოსები, რომლებსაც ლილია ხშირად ეკეკლუცებოდა და ზოგჯერ საკმაოდ მოურიდებლადაც იქცეოდა. ოსიპი, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ მისი მშვენიერი მეუღლე ბევრ მამაკაცს ახვევდა თავბრუს, ცდილობდა ქალის ამ საქციელისთვის ყურადღება არ მიექცია.

1915 წელს, ლილიას დამ, ცნობილმა ფრანგმა მწერალმა, ელზამ (ელზა ტრიოლე) ბრიკებს თავისი ახლო მეგობარი და თაყვანისმცემელი, დამწყები პოეტი, ვლადიმირ მაიაკოვსკი გააცნო. ელზას მოსწონდა მაიაკოვსკი და დარჩენილი ცხოვრების მასთან გატარება სურდა. ახალგაზრდა პოეტმა ახლად გაცნობილ ოჯახში თავისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ლექსი - "ღრუბელი შარვლით" ("Облако в штанах") წაიკითხა...

და სწორედ იმ საღამოს დაიწყო ყველაფერი...

"ბრიკებს თავდავიწყებით შეუყვარდათ მაიაკოვსკის პოეზია, ვალოდიას კი თავდავიწყებით შეუყვარდა ლილია, " - იხსენებდა მოგვიანებით ელზა.

რამდენიმე დღის შემდეგ მაიაკოვსკიმ ბრიკებს სთხოვა მათთან ცხოვრების ნება დაერთოთ, რადგან "ლილია იურიევნა შეუყვარდა". ქალმაც თანხმობა მისცა, ოსიპი კი იძულებული გახდა თავქარიანი მეუღლის ახალ გამოხდომას შერიგებოდა.

ასე დაიწყო გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი რომანი - "სამთა ქორწილი". ლილია ყველას უხსნიდა, რომ "ოსიასთან ინტიმური ურთიერთობები დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა", უცნაური სამეული მაინც ერთ ჭერქვეშ განაგრძობდა ცხოვრებას. მოგვიანებით ლილია თავის მემუარებში დაწერს: "მიყვარდა ოსიასთან სიყვარულით დაკავება. ვალოდიას სამზარეულოში ვკეტავდით. მას კი ჩვენთან გამოსვლა უნდოდა, ცდილობდა კარი გამოემტვრია, ფრჩხილებით ფხაჭნიდა, ტიროდა".

პეტროგრადში მდებარე ბრიკების ბინა ერთგვარ სალონად იქცა, სადაც იკრიბებოდნენ მწერლები, ფილოლოგები და ბოჰემის სხვა წარმომადგენლები. მეუღლეებმა თავიდანვე შენიშნეს მაიაკოვსკის დიდი პოეტური ნიჭი და დაეხმარნენ პოემის "ღრუბელი შარვალში" ("Облако в штанах") გამოქვეყნებაში. პოეტი აღმერთებდა ლილიას, მას თავის ცოლს ეძახდა.

ერთხელ მაიაკოვსკიმ ლილია ბრიკს ბეჭედიც აჩუქა, რომელზეც მხოლოდ სამი ასო იყო ამოტვიფრული - ЛЮБ - Лиля Юрьевна Брик (ქალის სრულის სახელის ინიციალები). მაგრამ ბეჭდის დატრიალების შემთხვევაში გამოდიოდა სიტყვა люблю ("მიყვარხარ"). ამგვარად, პოეტი კიდევ ერთხელ უხსნიდა სიყვარულს საყვარელ ქალს. ამბობენ, ლილია ბრიკს ეს ბეჭედი სიკვდილამდე არ მოუხსნია.

ლილიას კაცების მიმართ თავისებური მიდგომა ჰქონდა, რომელიც, მისივე თქმით, ყოველთვის ამართლებდა: "კაცს უნდა შთააგონო, რომ შესანიშნავი, უფრო მეტიც, გენიალურია და რომ სხვები ამას ვერ ამჩნევენ. და უფლება უნდა მისცე იმის, რის უფლებასაც სახლში არ აძლევენ. მაგალითად, სიგარეტის მოწევის, თავის ნებაზე წასვლის. დანარჩენს კარგი ფეხსაცმელი და აბრეშუმის თეთრეული გააკეთებს."

მათი "ოჯახი" მართლაც რომ უცნაური იყო: ოსიპ ბრიკს ცალკე საყვარელი ჰყავდა, ლილიას რომანები ჰქონდა არაერთ მამაკაცთან, მაიაკოვსკი კი ქალებს არ იკლებდა. დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში მოგზაურობების დროს უამრავ ერთდღიან რომანს აბამდა, რომელთა შესახებაც ლილიას ღიად უყვებოდა, არც ქალი უმალავდა თავის საყვარლებს...

და მაინც, მათ შორის საოცარი ემოციური მიმოწერა იმართებოდა: "ჩასვლის პირველივე დღე შენი სიჩუქრების შეძენას დავუთმე, - წერდა პოეტი პარიზიდან მოსკოვში, - შენთვის ჩანთა შევუკვეთე და ქუდები გიყიდე. ამის შემდეგ პიჟამოებს შეგირჩევ." ლილია კი პასუხობდა: "ჩემო საყვარელო ლეკვო, არ დამვიწყებიხარ... საშინლად მიყვარხარ. შენს ბეჭედს არასოდეს ვიხსნი..."

1930 წლის აპრილში ბრიკები ბერლინში გაემგზავრნენ. მაიაკოვსკიმ ისინი სადგურზე გააცილა. რამდენიმე დღის შემდეგ, მეუღლეებს სასტუმროში მოსკოვიდან ტელეგრამა მიუვიდათ: "დღეს დილით ვალოდიამ თავი მოიკლა". ეს მოხდა 1930 წლის 14 აპრილს. მაიაკოვსკიმ წერილი დატოვა, რომელშიც სხვა ფრაზებს შორის იყო შემდეგი ფრაზაც: "Лиля, люби меня" ("ლილია, გიყვარდე"). პოეტის სიკვდილის დროს ლილია 39 წლის იყო. ქალს წინ კიდევ ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრება ელოდა. ლილია ბრიკი 1978 წელს გარდაიცვალა, დიდი რაოდენობით საძილე წამლის მიღებით...

კიდევ ერთ, გაცილებით უფრო ლამაზ ისტორიას წარმოადგენს ვლადიმირ მაიაკოვსკისა და პარიზში მცხოვრებ ტატიანა იაკოვლევას ურთიერთობა. სრულიად უჩვეულო ამბავი, რომელზეც საფრანგეთში ლეგენდები დადის...

ლილია ბრიკი და ვლადიმერ მაიაკოვსკი

ლილია ბრიკი და ვლადიმერ მაიაკოვსკი

ლილია ბრიკი და ვლადიმერ მაიაკოვსკი

ვლადიმერ მაიაკოვსკი და ტატიანა იაკოვლევა

ტატიანა იაკოვლევა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

მაიაკოვსკის ყველაზე შთამგეჭდავი სასიყვარულო ისტორია, რომელიც პარიზში ლეგენდად იქცა

მათ არაფერი ჰქონდათ საერთო. 22 წლის კეთილშობილი და დახვეწილი, პუშკინსა და ტიუტჩევზე აღზრდილი, პარიზში მცხოვრები რუსი ემიგრანტი ქალბატონი სრულიად არ აღიქვამდა სერიოზულად მასზე 3 წლით უფროსი პოეტის უხეშ, "დაგლეჯილ", მიკიბ-მოკიბულ ლექსებს. არც რეალურ ცხოვრებაში უგდებდა ყურს მის სიტყვებს.

შმაგი, ფიზიკი, მებრძოლი ხასიათის ახალგაზრდა ქალს აშინებდა თავისი აღვირახსნილი ვნებით. იგი ვერც ძაღლურმა ერთგულებამ მოალბო, ვერც სიტყვამ. ქალი გულგრილი დარჩა. და მაიაკოვსკი მარტო გაემგზავრა მოსკოვში.

ამ მყისიერად დაბადებული და არშემდგარი სიყვარულისგან დარჩა მხოლოდ საიდუმლო დარდი, თაობებს კი შემორჩათ სექსი - "წერილი ტატიანა იაკოვლევას", სიტყვებით: «Я все равно тебя когда-нибудь возьму - Одну или вдвоем с Парижем!»

ქალს კი დარჩა ყვავილები...

პარიზში მოღვაწეობისას მიღებული მთელი ჰონორარი მაიაკოვსკიმ გადარიცხა ცნობილი ყვავილების მაღაზიის ანგარიშზე ერთადერთი მითითებით: კვირაში რამდენჯერმე უნდა მიეტანათ ტატიანა იაკოვლევასათვის თაიგული, რომელიც შედგებოდა ყველაზე უჩვეულო და ლამაზი ყვავილებისგან - ჰორტენზიების, პარმის იების, შავი ტიტების, ჩაის ვარდების, ორქიდეების, ასტრებისა ან ქრიზანთემებისგან. პარიზული ფირმა, რომელსაც საკმაოდ კარგი რეპუტაცია ჰქონდა, ზედმიწევნით ასრულებდა შეშლილი კლიენტის ამ უცნაურ თხოვნას - და მას შემდეგ, მიუხედავად ამინდისა თუ წელიწადის დროისა, კვირაში რამდენჯერმე ტატიანა იაკოვლევას სახლის კარზე ისმოდა კაკუნი, კურიერს შეჰქონდა ულამაზესი თაიგული და ამბობდა: "მაიაკოვსკისგან". 1930 წელს პოეტი გარდაიცვალა - ამ ამბავმა ქალს თავზარი დასცა... ის უკვე მიეჩვია იმას, რომ შეშლილი პოეტი გამუდმებით იჭრებოდა მის ცხოვრებაში; შეეჩვია იმ აზრს, რომ სადღაც იქ მასზე შეყვარებული მამაკაცია და ყვავილებს უგზავნის. დიახ, ისინი ერთამანეთს საერთოდ არ ხვდებოდნენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ არსებობდა ადამიანი, რომელსაც ასე ძალიან უყვარდა, გავლენას ახდენდა ყველაფერზე, რაც ქალის ცხოვრებაში ხდებოდა: ისევე, როგორც მთვარე ახდენს გავლენას ყველაფერზე, რაც დედამიწაზე არსებობს, მხოლოდ იმიტომ, რომ გამუდმებით ტრიალებს მის ახლოს.

ტატიანამ უკვე აღარ იცოდა როგორ გაეგრძელებინა ცხოვრება - ცხოვრება ამ გიჟური, ყავილებში ჩაფლული სიყვარულის გარეშე. მაგრამ მითითებაში, რომელიც პოეტმა პარიზულ საყვავილეს დაუტოვა, მის სიკვდილზე არაფერი იყო ნათქვამი. ამიტომ, პოეტის გარდაცვალების მეორე დღეს ქალის სახლის ზღურბლზე ისევ გამოჩნდა კურიერი ულამაზესი თაიგულით ხელში და ისევ გაისმა უცვლელი სიტყვა: "მაიაკოვსკისგან".

ამბობენ, დიდი სიყვარული სიკვდილზე ძლიერიაო, მაგრამ ყველა როდი ახერხებს ამ ყოველივეს რეალობაში განხორციელებას. ვლადიმირ მაიაკოვსკიმ კი ეს შეძლო. გადიოდა წლები, ყვავილები კი მოჰქონდათ და მოჰქონდათ...

მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა პარიზი გერმანელების მიერ იყო ოკუპირებული, ტატიანა იაკოვლევასთვის თავის რჩენის ერთადერთი საშუალება იყო ბულვარში ამ ულამაზესი თაიგულების გაყიდვა. რამდენიმე წლის მანძილზე მაიაკოვსკის სიყვარული ქალს შიმშილით სიკვდილისგან თავის დახსნაში ეხმარებოდა. შემდეგ პარიზი გაათავისუფლეს. ტატიანა სხვებთან ერთად ბედნიერებისგან ტიროდა და ომის დამთავრებას ზეიმობდა. თაიგულები კი მოჰქონდათ და მოჰქონდათ...

კურიერები იზრდებოდნენ ქალის თვალწინ, ძველებს ახლები ცვლიდნენ. და ამ ახლებმა უკვე იცოდნენ, რო დიდი ლეგენდის ნაწილი ხდებოდნენ. და რაღაც პაროლივით, რომელიც თითქოს უსასრულობაში შესასვლელ საშვს იძლეოდა, მომღიმარი სახით ამბობდნენ: "მაიაკოვსკისგან". მაიაკოვსკისგან გამოგზავნილი ყვავილები პარიზის ისტორია გახდა.

და მაინც, რა იყო ეს - ლამაზი ლეგენდა თუ ნამდვილი ამბავი? ერთხელ, 70-იანი წლების ბოლოს პარიზში მოხვდა საბჭოთა ინჟინერი არკადი რივლინი, რომელსაც ახალგაზრდობაში ეს ამბავი დედისგან ჰქონდა გაგონილი. ტატიანა იაკოვლევა ისევ ცოცხალი იყო და სიამოვნებით მიიღო თანამემამულე, ჩაით გაუმასპინძლდა და დიდხანს ისაუბრეს.

მის მყუდრო სახლში ყველგან ყვავილები იყო. არკადი რივლინს ცოტა ეუხერხულებოდა ასეთი კეთილშობილი, მოხუცი ქალბატონისთვის ახალგაზრდობის დროინდელ რომანზე ეკითხა. მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და შეეკითხა, მართალი იყო თუ არა, რომ მაიაკოვსკის გამოგზავნილმა ყვავილებმა ომის დროს მას სიცოცხლე შეუნარჩუნა? თუ ეს მხოლოდ ლამაზი ზღაპარი იყო? ხომ წარმოუდგენელია, რომ ამდენი წლის მანძილზე... - მიირთვით ჩაი, - უპასუხა ტატიანამ, - მიირთვით ჩაი. ხომ არსად გეჩქარებათ?

და ამ დროს კარზე ზარი გაისმა... საბჭოთა ინჟინერს ცხოვრებაში მანამდე არასოდეს ენახა ასეთი ძვირფასი თაიგული, რომლის უკან თითქმის არ ჩანდა კურიერი, თაიგული ოქროსფერი იაპონური ქრიზანთემებისა, რომლებიც მზის სხივებს ჰგავდა. და მზეზე მბრწყინავი ამ სილამაზის მიღმა კურიერის ხმამ წარმოთქვა: "მაიაკოვსკისგან".

P.S.
მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ • (0 431) 24-45-46. • psnews27@gmail.com • www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
Q — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი"). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**